ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 246

17 აგვისტო
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №22-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045.026) 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დოთსისთვის" (ს/კ: 405147871) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №22-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045.026) 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დოთსისთვის" (ს/კ 405147871) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 აგვისტოს №18.621.959 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, **ლესელიძის ქუჩა** №22-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045.026) 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დოთსისთვის" (ს/ნ: 405147871) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**